



"მსოფლიო რაგბის" "წესების გადახედვის ჯგუფის" ინიციატივით, რომლის წევრიცაა სრკ-ის თანა'მშრომელი ლუკა კილასონია, მორიგი სიახლეები მთელს მსოფლიოში გამოიცდება იმ შეჯიბრებებში, რომლებიც 2021 წლის 1 აგვისტოს ან მოგვიანებით დაიწყება.

ექსპერიმენტის მიზანია დასკვნის მომზადება 2022 წლის მაისისთვის, რათა "მსოფლიო რაგბის" საბჭომ 2023 წლის მსოფლიო თასისთვის დროულად ჩაასწოროს წესების წიგნი.

08/10_2021 @ 11.06

სიახლე სულ ოთხია:

50-დან 22-ში | ლელოდან განახლება | სამ-კაცა სოლი | მღლეტელის უხიფათოდ გადაყრა

I ▶▶ 50-დან 22-ში [ორმოც'და'ათიდან ოც'და'ორში]

თუ მოთამაშემ ბურთი მოედნის თავისი ნახევრიდან დაარტყა და ბურთი აუტში არა-პირდაპირ გადავიდა მეტოქის 22-ში – დერეფანში ბურთს ამ მოთამაშის გუნდი მოაწვდის.

არა-პირდაპირ – ფეხით დარტყმული ბურთი კიდეზე ისე გადავიდა, რომ [სათამაშო] არეში მიწას დაეცა | მოხვდა, ანაც მოთამაშეს | მსაჯს შეეხო

"50-დან 22-ში" წესი არ მოქმედებს, თუ გუნდმა ბურთი მოედნის იქეთა [მეტოქის] ნახევრიდან თავისაში უპასა | შეიტანა – ფაზა აქეთა [საკუთარ] ნახევარში უნდა დაიწყოს.

ფაზა – შერკინება | დერეფანი | რაქი | მოლი
[შეადარეთ 18.8.დ მუხლს | გვ.61]

წესების წიგნში სათანადო სტრიქონი დასაწყისშივე ჩაემატება 18.8.ა ცხრილს [გვ.59]

"დერეფანი" გამორიცხავს "უცებ შემოგდებას" [გვ.58]

წესის ახალი ფორმულირება ადარ გამორიცხავს "გაგორებას" – ფეხით ისე დარტყმას, რომ ბურთი მიწაზე მიგორავდეს

[შეადარეთ 2019 წლის მეთოდ-მასალის 3.1.1 ნაკვეთს]

სიახლეები მოქმედებს მხოლოდ "ღია თამაშში" –

მალაში არაა ცენტრიდან | 22-დან | ლელოდან დაწყება-განახლების დროს [წესი 12 | გვ.43-45]

"22-მეტრა ხაზი" ეკუთვნის 22-ს [გვ.7]

II ▶▶ ლელოდან განახლება [არეკნი არა 22-დან, არამედ ლელოდან]

12' წესში [გვ.44] 11. მუხლის შემდეგ ემატება ახალი, რის გამოც იცვლება შემდგომთა ნუმერაცია

12. 22-ის ნაცვლად

თამაში განახლდება "ლელოდან დარტყმით", თუ

ა. ბურთი ლელოში შემტევმა შეიტანა | შეგზავნა, მაგრამ დამცველმა გააკავა – არ დაამიწებინა.

[ამის მიხედვით იცვლება 21.17 მუხლის ბოლო აბზაციც | გვ.84 – 5მ შერკინება აღარაა!]

ბ. "ცენტრიდან | 22-დან | ლელოდან დაწყება-განახლებისა" და

"კარში ჯარიმის | არეკნის დარტყმის" გარდა –

შემტევის მიერ ლელოში ფეხით შეგზავნილი ბურთი დამცველმა დაამიწა | "უქმად აქცია" .

[შეადარეთ 21.12 მუხლს | გვ.83 – უქმი ბურთი ლელოს გავლით]

გ. შემტევს ბურთი მეტოქის ლელოში "წინ დაუვარდა" | მანვე იქ "წინ გადააწოდა" [წესი 11 | გვ.42]

აქვე ემატება ცხრილი

[არეკნით] განახლება	საიდან სრულდება	სამიზნე ხაზი [ახალი ცნება!]
22-დან	დამცველი გუნდის 22-მეტრა ხაზიდან მასზე უკნიდან	22-მეტრა ხაზი – 1.4.გ მუხლი [გვ.11]
ლელოდან	დამცველი გუნდის კარის ხაზიდან მასზე უკნიდან	5-მეტრა წყვეტილი – 1.5.დ მუხლი [გვ.11]

შემდგომ მუხლებში "22-მეტრა ხაზის" ნაცვლად ყველგან წერია "სამიზნე ხაზი", რაც მოხერხებულია, ანუ: ბურთმა უნდა გადაკვეთოს სათანადო სამიზნე; დარტყმამდე მეტოქე არ უნდა გადასცდეს ამ სამიზნეს; თუ ბურთმა სამიზნეს ვერ უწია – შეიძლება ხეირის ამოქმედება და ასე შემდეგ.

III ►► სამ-კაცა სოლი

თამაშის განვითარებისა და უხეშობასთან ბრძოლის გამკაცრების კვლად ყავლი გაუვიდა წინა საუკუნის სახიფათო ფანდებს – მხედრულს [გვ.6] და სოლურს [გვ.8] ამასობაში "აილე და მიეძალეში" გაჩნდა ახლებური სოლი – "სამ-კაცა მინი-შერკინება"

ამის გამო ძალაში დარჩა 9.22 მუხლი [გვ.47], ოღონდაც სოლის რაობა შეიცვალა ასე:

სოლი – აკრძალული ფანდი: შემტევი "აილე და მიეძალეს" რომ გააჩაღებს, გუნდლები ბურთთან მეტოქესთან დაჭიდებამდე [კონტაქტამდე] ორივე მხრიდან მოხვევენ ხელს და ისეთ სოლს შექმნიან, რომ ზოგი ბურთიანის წინაც კი იქნება.

გამონაკლისი: კვლავაც ნება დართულია დაჭიდებამდე ბურთთან ერთი კაცის ჩაბმა, ოღონდაც ამ მოთამაშემ უნდა დაიცვას "ბოჭვაზე მისულის" [მუხლი 14.4.გ.II | გვ.47] წესები [მუხლი 14.8 | გვ.49] – [განგებ] არ წაიქცეს | წაწვეს და ასე შემდეგ

IV ►► მლღეტელის უხიფათოდ გადაყრა

განისაზღვრა, თუ რაა "მლღეტელი"

[მბოჭავი თუა თექლერ | tackler, მლღეტელი ჟარგონზე – ჯექლერ | jackler, ანუ მტაცებელი ტურა]

მლღეტელი – მბოჭავის გუნდელი, რომელიც ბოჭვაზე პირველი მივიდა.

მას მხოლოდ ზეზეულად | დგომელა შეუძლია "ბურთით თამაში" [მუხლი 14.8 | გვ.49]

თუ მლღეტელი მანამდე ბოჭვაში მონაწილეობდა – შებოჭილს ჯერ [ცხადად] უნდა გაუშვას ხელი და ბურთისთვის მერედა იბრძოლოს.

მლღეტელის დასაცავად 9.20 მუხლს დაემატა დებულება:

დ. მოთამაშეს შეუძლია რაქიდან მეტოქე მლღეტელის გაყვანა | "გადაყრა" – ოღონდაც, მას არ უნდა დააწვეს და არც ფეხებში სწვდეს.

ბოლოთქმა

უეჭველია, რომ სიახლეთა გლობალური გამოცდის შედეგად გამოვლინდება გაუთვალისწინებელი შემთხვევები –

ახალი წესები სეზონის განმავლობაში კიდევ ჩასწორდება, რის გამოც საითზე თვალი უნდა ადევნოთ ამ ფაილს

ინგლისური პრომო-დედანი	კლიპებიანი მეთოდ-მასალა
------------------------	-------------------------